№ 10 თბილისი მაისი 1958

ნიანგი

გამოცემის XXXVI წელი ფასი 2 მან.

არის შემთხვევები, როცა პიონერთა ბანაკებისა და საბავშვო სახლების მომსახურე პერსონალს დასასვენებლად მიჰყავს თავისი ახლობლები.

ნახ. გ. ფირცხალავასი

ბანაკში დაბანაკებულნი

წყალი

სიკვდილი ღმერთმა გაშოროთ, მაგრამ სასიკვდილო სარეცელზე გაწოლილი სულთმობრძავი, თუ ვინმეს ახსენებს, დედას ახსენებს უსათუოდ და, თუ რაიმეს მოითხოვს, არ შეიძლება წყალი არ მოითხოვოს.

ოდითგანვე ცნობილია, რომ, ვიდრე დასახლდებოდა, თქვენი წინაპარი სამოსახლო ადგილს, უპირველესად ყოვლისა და ყოვლის უპირველეს, იმის მიხედვით ირჩევდა, იყო თუ არა ამა თუ იმ ადგილზე წყალი და, თუ არ იყო, შეეძლო თუ არა იგი მოეყვანა.

ქალაქებსა და სოფლებს მდინარეების პირას აშენებდნენ უთუოდ და კულტურის კერები სწორედ მდინარეების ნაპირებზე იქმნებოდა.

ძველი ეგვიპტელები და ბერძნები ყველაფრის საწყისად წყალს მიიჩნევდნენ და თქვენს მამაპაპურ ქართულშიაც ხომ საწყისი და წყარო საყოველთაოდ ცნობილი და მოქალაქეობრივი უფლებით შემოსილი სინონიმებია. მოგეხსენებათ, რომ მე ხვლიკს იმითა ვგავარ, თაკარა მზეზე ზურგის შეფიცხება რომ მიყვარს, მაგრამ წყალში გაწოლასა და ნებივრობას დიახაც რომ ჩვეული ვარ. და ეს რა გასაკვირია, როცა წყლისა და მზის შვილი გახლავართ.

მზიურ საქართველოში რომ დავმკვიდრდი, მართალი გითხრათ, ჩემს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა და თქვენმა სტუმართმოყვარეობამაც ისე მიმიზიდა, რომ წყალგარეულ ღვინოსაც სიამოვნებით გიახლებით, მაგრამ წყაროს წყალი უფრო მეტ სიამეს მგვრის და თქვენი მინერალური წყლები ხომ პირდაპირ მისწრებაა, რა გინდა უკეთესი, სულო და გულო, ჩიტის რძე მონაგონია მათთან.

ყველგან რომ სასურველი სტუმარი ვარ, ეს მე სიამესაც მგვრის და სიამაყითაც მავსებს. მაგრამ მე რაღა სასურველი სტუმარი ვიქნები, თუ ჩემი გულუხვი და ხელგაშლილი მასპინძლების გულისტკივილი აღარ გავიზიარე და გულაჩუყებულმა თქვენც არ გაგიმჟღავნეთ მათი და ჩემი ხვაშიადი. ჩემი ცრემლები რატომღაც საყოველთაოდაა ცნობილი, მაგრამ ტყუილუბრალოდ ჩემს დღეში არ ავცრემლებულვარ. თუ ჩემი არა გჯერათ, ჰკითხეთ ეგვიპტის პირამიდებს და, თუ ადამიანი მოწმე მოგინდეთ, ძველთაძველ მუმიებს გაებაასეთ. როცა მე ვტირივარ, უთუოდ მეტირება და როცა სიცილს ვაყრი ვინმეს, ამა თუ იმ პიროვნების დამსახურებას ვაქცევ ყურადღებას პირველ რიგში... ჰოდა, ასე რომ ვიქცევი, მგონი არ ვიქცევი ურიგოდ...

მაგრამ ამდენ ლაპარაკში კინაღამ გამიწყდა საუბრის ძაფი და ვეღარ გითხარით ჩემი სათქმელი. სათქმელი კი იმდენი მაქვს, ზამთრის ცხრა საღამოც აღარ მეყოფოდა, მოგიზგიზე ცეცხლის პირას რომ დავმსხდარიყავით და მოვყოლოდი...

თუმცა რაღა ცეცხლზე გადავედი, როცა წყალზე უნდა მელაპარაკა და როცა წყალი შეადგენს ჩემი ჩივილის თემას...

როცა გვალვა დადგებოდა, თქვენი წინაპრები ხელებს ცისკენ აღაპყრობდნენ ვედრებით და შესთხოვდნენ უფალს:

«ღმერთო, წვიმა მოიყვანე
ძლიერი და შხაპუნაო...»

მსხვერპლშეწირვაც არ იყო იშვიათი შემთხვევა, ოღონდაც მომლბარიყო ზეცა და ღვთაებრივი ცრემლები ეპკურებინა დედამიწისათვის.

თქვენს მზიურ საქართველოში ძველთაგანვე დიდ პატივს სცემდნენ როგორც მზეს, ისევე წყალსაც. ეს რომ ასეა, თუნდაც იქიდანაც მტკიცდება, რომ ენამჭევრობის გამოსახატავად მზეც გამოგიყენებიათ და წყალიც: ენამზეობაო, ენაწყლიანობაო, ყველაზე ულმობელს უწყალოს ეძახდნენ, ყველაზე გულუხვს — მოწყალეს...

იქნება ვინმემ იკითხოს, რა გული გააწყალე, სულ წყალზე რომ ლაპარაკობ, ამ წყალ-წყალა სიტყვებით რა წყალს ნაყავო, მაგრამ წყალი სანაყავად კი არა, წყურვილის დასაცხრობადაც კი ენატრებათ ალაგ-ალაგ და მეც, თუმცა არცთუ მაინცდამაინც წყალწაღებული ვარ, მაგრამ ხავსს მაინც ვეკიდები,—ვინ იცის, იქნება წყლის ამ ნაყვამ იმოქმედოს და ჩემს ზოგიერთ წყალმოწყურებულ მასპინძელს დაუცხროს უწყლოობით გამოწვეული წყურვილი.

შენ, ჩემო მკითხველო, ალბათ არასოდეს ისე არ აგშლია სიარულის საღერღელი, როგორც მე. სად არა ვყოფილვარ, რა არ მინახავს და, სხვათა შორის, ერთ რამეში დავრწმუნდი:

არც ჩემს ეგვიპტეში და არც სხვაგან, სადაც კი გამომივლია, იმდენი ციხე-სიმაგრე აღარ მინახავს, რამდენიც თქვენთან და ყველგან ციცაბო კალთებიან მთა-კორტოხებზე წამოჭიმულ შეუვალ ციხე-სიმაგრეებშიაც იმ თქვენს სახელოვან წინაპრებს ამოუყვანიათ ცივი და ანკარა მაცოცხლებელი წყარო... კლდეებში გამოკვეთილი მღვიმე-ქალაქი ვარძია გინდა თუ ზედაზენი, ენგურის პირას წამომართული რუხის ციხე თუ შიომღვიმე, საფარა თუ უჯარმა, მცხეთის ჯვარი თუ ახალდაბის ციხე-კოშკი, თუ რომელი ერთი ჩამოვთვალო, ყველგან მოჩუხჩუხებს წყალუხვი წყარო და იმ წყაროებსაც დიდი წილი მიუძღვით გამარჯვებაში იმ თქვენი მამა-პაპებისა, რომლებსაც მრავალი გარსმოჯარული მტრის ლაშქრისათვის უსროლინებიათ კუდით ქვა.

მეცნიერი მუშაკების ენით რომ ვთქვათ, ეს ისტორიული ექსკურსი იმისათვის დამჭირდა, რომ თბილისქალაქში მიმოგატაროთ და მოგასმენინოთ აქაურთა მკვიდრთა წყალმოწყურებული ღაღადისი.

ნუკი გეწყინებათ და უნდა გითხრათ, რომ თქვენს ქვეყანას აქამომდე არა ჰყოლია წყალთა მეურნეობის სამინისტრო და დღემდე არც თბილისქალაქი განებივრებულა წყალთა მეურნეობის სამმართველოთი.

მე აქ უწინაც ჩამომივლია ტარტაროზის თანხლებით და მეთულუხჩეები დიახაც რომ მინახავს. მაგრამ ახლა, როცა დედამიწას ხელოვნური მთვარეებიც კი გაუჩინეთ და რომელ მდინარესაც გნებავთ იქითკენ აქნევინებთ პირს, საითაც მოგეპრიანებათ, მიკვირს მეთულუხჩეობა რატომ კიდევ შემოგრჩათ!

აი, ლოტკინის ვორაზე ადი, თუ გინდა, გაჰყვევი წერონისის ქუჩას, ან რომელიმე სხვას და ჩემი ნათქვამის სიმართლეში დიახაც რომ დარწმუნდები. მთაწმინდის ძირასაც გაიარე, თუ გინდა, ნაძალადევი ნახე, ქობულეთის აღმართს აჰყევი, კუკისაკენ გადი, ერთი-ორი საათი წამოჭონავს ნატახტარი თუ ბულაჩაური და მერე, გინდა მსხვერპლი შესწირე, გინდა «თავში ქვა იეც», შენ არ მომიკვდე, ერთ ობოლ ცრემლსაც ვერ გადმოაგდებინებ.

შენებით კი უზარმაზარ სახლებს აშენებთ ამ დალოცვილ ქალაქში, ისე გაზარდეთ იგი, რომ სიგრძე-სიგანედ ექცა, მაგრამ ხალხნო, თუ ჩემს კეთილ რჩევას დაეჯერება, ჯერ წყალი გაიყვანეთ და მერე სახლი ააგეთ, თორემ თქვენს ოჯახებში ფეხის შემომდგმელი არა ვარ, რომ მეპატიჟებით, რას მეპატიჟებით, ხომ გითხარით მზისა და წყლის შვილი ვარ-მეთქი.

წყალი ბაღების მოსარწყავადაც გვჭირდება და იმიტომ არა გვყოფნის ზაფხულობითო, რომ მითხრეს წყალთა მეურნეობის სამმართველოში, თქვე დალოცვილებო, ბარათაშვილივით გადით მტკვრის პირად, მერე მილები ჩაყარეთ და მტკვრის წყლით მორწყეთ პარკები,—ბალახები. მაინცდამაინც ბულაჩაური ან ნატახტარი თუ არ ასხურეთ, განა არ აბიბინდება?

ნახ. დ. ერისთავისა

— დირექტორი და მოადგილე ისევ წაიჩხუბნენ და არ ვიცი რომელს მივემხრო.

დახურდავებული მინიატურა

არის ცხოვრებაში წუთები, როდესაც ჯიბეს გახვრეტილი შაურიანიც არ გიმძიმებს: ან გამონაცვალი შარვლის ჯიბეში ჩაგრჩა ფული, ან სიმთვრალეში ჯიბგირმა (ან ცოლმა) ამოგაცალა. ანდა უბრალოდ. გაგითავდა. ფული კი არა, კაცი თავდება ხანდახან. ცუდი ისაა, ზოგჯერ უდროო დროს ხდება ეს. ცოლმა (მით უმეტეს, თუ იგი ფეხმძიმედაა) შეიძლება ისეთი რამ ინატროს, მთელი თვის ჯამაგირი ერთ დღეს დაგახარჯვინოს.

ერთი რამ კია: როცა ფული გაქვს, ქვეყანა შენი გგონია და ქვეყანას თავისი გონიხარ, აღარა გაქვს ფული და აღარა გაქვს სული. თითქოს მოკლებული ხარ ამქვეყნიურ სიამოვნებას.

ასე დამემართა ერთხელ. ჩავიყავი ჯიბეში ხელი და კაპიკიც ვერ აღმოვაჩინე. შარვლის ჯიბეში არ ჩამრჩებოდა, კარგად მახსოვს, შარვალი არ გამომიცვლია: ჯიბგირი ვერ ამომაცლიდა. მათ ხომ კანონით ეკრძალებათ ქურდობა: ცოლი რაიონში იყო წასული. ერთი სიტყვით, გამოდის, რომ შემომეხარჯვია. მაგრამ რაღა ახლა, როცა ღამის 12 საათია და სახლიდან კილომეტრებზე ვიმყოფები.

რამდენიმე გამვლელს სამშაურიანი ვთხოვე «ტელეფონისთვის». ყველას აბაზიანი აღმოაჩნდა... ფეხით სახლში მისეირნებას. კონდუქტორთან ვაჭრობა ვარჩიე, რამდენჯერ მიჩუქნია მათთვის ხურდა და იქნებ კიდეც მიცნოს-მეთქი.

ის-ის იყო დავჯექი და ვხედავ ამოდის. კონტროლიორი?—არა. მილიციელი? — არა, აფრასიონი, მამაჩემის მეგობარი: «პაკრიშკა» გამსკდარიყო და ძირს ჩავეტანე, მერჩია. «ამ შუაღამისას სად დატანტალებს ეს ბერიკაცი-მეთქი»,—გავიფიქრე, თან კი მოვიკითხე: როგორ ბრძანდებით, სად ბრძანდებოდით, სად მიბრძანდებით და სხვ.

ამასობაში კონდუქტორიც მოგვადგა ბილეთების ხვეულით. უფულო კაცი ყველაფერს იკადრებსო — ნათქვამია და მეც ყასიდად წავიღე ხელი ჯიბისკენ. აფრასიონმა რომ შემნიშნა, იწყინა: «როგორ, სტუდენტ კაცს დაგახარჯვიებ ფულსო», და ეცა ჯიბეს. ახლა ჩემმა თავმოყვარეობამ გაიღვიძა.

— რას ბრძანებთ, გეკადრებათ მაგის ნახევარი-მეთქი,—და მარცხენა გულის ჯიბეში გავაქანე ხელი.

— აჰ, შვილები არ მომიკვდეს, მეწყინება,—მითხრა თავის მხრივ და ახლა შარვლის ტერიტორიაზე გადაინაცვლა. კონდუქტორი კი დგას და იცინის. არ დამიტოვებია არც ერთი კუნჭული. პალტოს გამოხეულ სარჩულშიც კი ვტკუცე ხელი. უცებ მოლარისათვის ნაჩუქარი ოთხი აბაზი მომაგონდა და გულზე გავსკდი. თან აფრასიონზე ვეჭვობ: ამდენ ხანს რა ღმერთი გაუწყრა, ჩემს დღეში ხომ არ არის-მეთქი. იქნებ მასაც გამონაცვალი შარვლის ჯიბეში ჩარჩა ფული, ან სიმთვრალეში ჯიბგირმა (ან ცოლმა) ამოაცალა, ანდა, უბრალოდ, გაუთავდა.

— ტფუ, დასწყევლის ღმერთი,— უხერხულად იძახის იგი და განაგრძობს ქექვას.

კონდუქტორმა ხელი ჩაიქნია და მოგვცილდა. მთელი ავტობუსი დაინტერესდა ჩვენი ორთაბრძოლით.

ის-ის იყო მეორეჯერ უნდა დაგვეწყო შემოვლა, რომ შემოგვესმა:

— ნუ სწუხდებით, აღებულია.

ორივემ შვებით ამოვისუნთქეთ. ალბათ, აფრასიონის ნაცნობია-მეთქი და მადლობა გადავუხადე უცნობ ადამიანს (თან გულში ვაგინებდი დაგვიანებისათვის).

მე და აფრასიონი ერთმანეთს თვალს ვერ ვუსწორებდით. როცა მცილდებოდა, მითხრა: იმ შენ ნაცნობთან ბოდიში მომხადე, მადლობის თქმაც ვერ მოვახერხე..

ჟარი ჟარალიშვილი

კარელ ჩაპეკი

ჩეხური არაკები

მამალი — როგორ თუ გათენდება? ჯერ ხომ არ მიყივლია!

გომბეშო — პროგრესი?! რასაკვირველია. პროგრესი არსებობს. მაგალითად. მე ოდესღაც მხოლოდ თავკომბალა ვიყავი.

გამხმარი ტოტი — ბოლოს და ბოლოს. მეც დამოუკიდებელი გავხდი!

ჯირკი — თქვენ ამბობთ, რომ მე ადგილიდან არ ვიძვრი? სამაგიეროდ. არც ფეხს წამოვკრავ რასმეს.

ბელურა — ხედავთ, რა ჟივილ-ხივილი გვჭირდება. რომ გაზაფხული დადგეს?

თარგმანი **ვ. სამხარაძისა**

ნახ. დ. ერისთავისა

დამწყები პოეტი რედაქტორთან

წინათ და... ახლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იღბლიანი ნახტომი

არც ისეთი კარგი მოწაფე იყო ნუგზარი. სამაგიეროდ ბრწყინვალე ფიზიკური მონაცემები ჰქონდა. მისი ანატომიური აღნაგობა ჩემპიონის ყველა ატრიბუტს შეიცავდა და ფიზკულტურის ინსტიტუტს მაინც აარიდა თავი. როგორც წესი, გადაიღო ფოტოსურათი, დაწერა განცხადება და ავტობიოგრაფია მიაკრა ატესტატს და ყველასათვის მოულოდნელად ისეთი სპეციალობა აირჩია, რომ მისმა ნაცნობებმა ერთდროულად და დამოუკიდებლად ერთი და იგივე შედარება წამოისროლეს „აქლემი და გალიაო“. ნუგზარი კი იმედს არ ჰკარგავდა.

დადგა გამოცდის პირველი დღე. ინსტიტუტის „სევდის“ ბაღში ბედს მინდობილი ნუგზარი უზრუნველად დასეირნობდა, ყვავილთა სურნელებამ ყნოსვა მოსტაცა, ერთი სპორტული მოძრაობით ყუნწში გადატეხა ლამაზი ყვავილი და ის-ის იყო კიდევ აპირებდა ამავე ილეთის განმეორებას, რომ ინსტიტუტის დირექტორის განრისხებული სახე და სტარტიდან მოწყვეტილი რამდენიმე დარაჯი შენიშნა. აშკარად ალყას არტყამდნენ, კარებისაკენ გზა მოჭრილი იყო, მხოლოდ მაღალი ღობე აღმოჩნდა დაუცველი. ნუგზარიც იქითკენ გაექანა, წამით დაგვიანებას შეიძლებოდა მთლად დაეღუპა. აბიტურიენტები და მათი გულშემატკივრები დაძაბულად ადევნებდნენ თვალყურს. აი ნუგზარი უკვე მიუახლოვდა ღობეს, დაყოვნება ყოვლად შეუძლებელია, არადა ღობე რკინისაა, ალბათ, ორმეტრიანი, თუ მეტი არა. ნუგზარი წელში ოდნავ მოიბარა, ძლიერად დაჰკრა ფეხი მიწას და სკუპ, ღობეს თავს გადაევლო, მაგრამ სწორედ აქ უმტყუნა ბედმა, იგი მილიციელის პირისპირ აღმოჩნდა. დააკავეს. ამ დროს დარაჯებიც წამოეწველნენ და საქმეც თითქმის გადაწყვეტილი იყო, რომ ინსტიტუტის დირექტორი სირბილით მოვარდა.

— მე ინსტიტუტის დირექტორი ვარ,—მიმართა მან მილიციელებს.

— მოწმედ წამობრძანდით,— იყო პასუხი.

— კი მაგრამ, მას ხომ არაფერი დაუშავებია. გთხოვთ გაათავისუფლოთ.

ნუგზარმა და დარაჯებმა გაოცებით შეხედეს დირექტორს.

მილიციელები ცოტა ხანს გაჯიუტდნენ, შემდეგ მოლბნენ და ნუგზარი გაათავისუფლეს. დირექტორმა ხელმკლავი გაუყარა და ინსტიტუტის ბაღში დააბრუნა. მისივე ბრძანებით სახელდახელოდ გაზომეს ღობის სიმაღლე.

— მომავალი რობერტ შავლაყაძე, მომავალი რობერტ შავლაყაძე!—აღტაცებით იმეორებდა დირექტორი.

კონკურსმა ნიავივით გადაუარა ნუგზარს და აქლემი გალიაში მოხვდა.

გ. პატარიძე

ნახ. ნ. მალაზონიასი

— ქალო, ერთხელ და სამუდამოდ შეაგნებიე ამ შტერებს,რომ ამათ ოჯახს უკვე ათი წელიწადია არ ველაპარაკებით!..

ნაწყვეტები ციკლიდან: „ორაზროვანი წარწერების განმარტება“

1. „იყიდება გატანით!“

ყველას გვიკვირს ტყიბულში
ამ წარწერის თილისმა,
რადგან სარდაფ-წერტებში
მუდამ „ჰყვავის“ ღვინის სმა.
ბუნდოვანმა სიტყვებმა
გულს ლახვარი დამასო,
ვიდრე გამგემ არ მითხრა, —
მე აგიხსნით ამასო:
„ვინც გულ-მუცელს იხრაკავს
ალკოჰოლის ტაფაზე,
მათ გატანას გულისხმობს
წარწერა ამ დაფაზე“.

2. „კაფე-რესტორანი“

რესტორანი გაგვიხსნეს
გზატკეცილის პირადა,
მაგრამ მრავალს შიგ შესვლა
მიაჩნია ჭირადა.
რატომ არის, მიხვდებით
საჭორე და საბრაზე,
ასო „კ“-ანის მაგივრად,
„ქ“-ანს თუ ჩასვამთ აბრაზე.
მართლაც ასე ამბობენ
მათე, ნესტორ, ანია:
„ჩვენთან კაფე კი არა,
— ქაფე-რესტორანია!“

ვ. ბარბაქაძე

განცხადებები

ბიუროკრატი დირექტორების საყურადღებოდ, ვკითხულობ საჯარო ლექციას თემაზე—ინდივიდუალიზმი და მისი უარყოფითი მხარეები.

რობინზონ კრუზო

გვესაჭიროება გამოცდილი მეეზოვეები სცენიდან ნაგავის გადასაზიდად.

ფილარმონიის მსახიობები

მიღებულია საუკეთესო ხარისხის იმედი, ვარიგებთ განუსაზღვრელი რაოდენობით.

თბილისის ფეხბურთელთა სკოლა

ვცვლი «რუბინის» ტიპის ტელევიზორს სურამის ორკვირიან საგზურზე.

ნერვებაშლილი

გვესაჭიროება სცენის მუშები, თანამედროვე ცხოვრების ამსახველი პიესები, დამლაგებელი ქალები და მაყურებლები.

თბილისის თეატრები

ანკეტა

(რომელიც უნდა შეავსონ თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის გაგრძელების მსურველებმა)

1, გვარი, სახელი, მამის სახელი . . . .
2. სპორტის რომელ სახეობაში გაქვთ მაღალი მაჩვენებლები: ფეხბურთი, კალათბურთი, მძლეოსნობა, ჭიდაობა . . . . . (ხაზი გაესვას)
3. რომელ ინსტრუმენტზე უკრავთ: კლარნეტი, საქსაფონი, ტრამბონი, საყვირი, როიალი . . . . . (ხაზი გაესვას)
4. რა ხმა გაქვთ—ბარიტონი, ტენორი, ბასი, სოპრანო, მეცოსოპრანო . . . . (ხაზი გაესვას)
5. ქორეოგრაფიის რა სახეს მისდევთ: ხალხური, კლასიკური . . . (ხაზი გაესვას).
6. რა ჟანრი გეხერხებათ: დეკლამაცია, კონფერანსე, იმიტაცია, ორიგინალური ჟანრი . . . . . (ხაზი გაესვას)
7. რომელ უმაღლეს სასწავლებელში გსურთ და რომელ ფაკულტეტზე სწავლის გაგრძელება—ფილოსოფიის, ფიზიკა-მათემატიკის, მეტალურგიის, ჰიდროტექნიკის, არქიტექტურის, სამთო-გეოლოგიის . . . . . . (ხაზი შეიძლება არც გაესვას).
8, ხელმოწერა.

ლექსიკონი

ფანჯარა—გარედან ოთახში შესახედი.
კიტრი—მწერალს გავს: რაც უფრო მოუმწიფებელია, მით უფრო მოწონს თავი.
წურბელა—ექიმბაში.
ადამი—ერთადერთი კაცი, რომელიც არ ეჭვიანობდა ცოლზე.
ძაღლი—შინაური ცხოველი, რომელიც გარეშე საქმეებში ერევა.
მეკარე—ბურთს მუდამ ხელგაშლილი ხვდება და ბურთისთვის მუდამ ღიაა მისი კარები.
ტრამვაი—დროს ჩამორჩა, მაგრამ ურემს გაუსწრო.
რუსთაველის პროსპექტი—პროსპექტი, სადაც რუსთაველს არასოდეს არ გაუვლია.

შოთა

ნახ. ნ. მალაზონიასი

— რამხელას ყვირის ეგ ბავშვი, რა გამოვა მისგან!
— აი ნახავ, თუ დირექტორი არ გამოვიდეს.



უეჭველი პაემანი

ჯერ ურეკავს ნელის,
მერე ლალის, ლილის.
პაემანზე ელის
გულმკერდგაღეღილი.
თუ არ მოვა ერთი,
მოწყალეა ღმერთი:
ან მეორე მოვა,
ან მესამე მოვა,
ისე როდი ელის:
ან შეხვდება ნელის,
ლალის. ანდა ლილის
გულმკერდგაღეღილი.

მ. ქარჩავა

— ყურადღება,

— მოემზადე, ჩიტი გამოფრინდება...

ნახ. გ. ფირცხალავასი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მახსოვს, პატარაობისას, ჩემი ინიციატივით ზეწრით გადაკეებულ სკოლის დერეფანში „ოტელო“ დავდგით. პროგრამა დაახლოებით ასე გამოიყურებოდა:

შექსპირის ტრაგედია „ოტელო“.

ასრულებენ: **ოტელო**—მე ვიყავი ოტელო
დეზდემონა—მიტოიე სიხარულიძე } გოგოები
ამალია—ტარიელა ჯაბუა } არ გვყავდა.
იაგო—სევერიანე ცენტერაძე
და ასე შემდეგ.

რადგან მაშინდელი მსმენელი არ იყო მაღალკვალიფიცირებული და მათი კულტურული დონე დაბლა იდგა, ხოლო, მოგეხსენებათ, შექსპირი ცოტა გაუგებრადაც წერს, მომიხდა პიესაში ზოგი ადგილის შესწორება და შელამაზება. ასე, მაგალითად, როდესაც შემოდის ოტელო და სენატს უმტკიცებს—ამ მოხუცის ქალი არ მომიტაცნიაო, ეს სცენა შევცვალე და ოტელო პირდაპირ დავუპირისპირე დეზდემონას:

ოტელო—ქალო, როდის მოგიტაცე მე, შენი ფეხით არ წამომყევი?

დეზდემონა—კი წამოგყევი ჩემი ფეხით, რა გინდა ახლა?

ოტელო—მე კი არა, მამაშენს ელაპარაკე აგერ.

დეზდემონას მამა—მომეჭრა თავი, არ დაგინახოთ ჩემს ოჯახში არც ერთი და არც მეორე, კისერი გიტეხიათ, როგორც გინდათ, ისე ირჩინეთ თავი!

ის ადგილი, სადაც ოტელო მონოლოგს ამბობს: მშვიდობით სპანო ჯიღოსანნო, მეც არ მესმოდა და ვერ გადავაკეთე, მაგრამ სპექტაკლის მსვლელობის დროს, დარბაზს რომ გადავხედე, და შიგ ქართულის მასწავლებლის მეტი ვერავინ დავინახე, რომელიც ამდგარიყო და დარბაზიდან გადიოდა—მშვიდობით, პატივცემულო მასწავლებელო-მეთქი, მივაძახე, მერე პირდაპირ «ჯერ შეიცადეთზე» გადავედი, მაგრამ ვერაფერმა ვერ გვიშველა, სპექტაკლი ძალაუნებურად დამთავრდა.

მეორე დღეს, სკოლაში რომ გამოვცხადდი, დარაჯმა ბეჭზე ხელი მომითათუნა და მითხრა:

— შენ გეიხარე, ბიძია, რავა მომკალი გუშინ სიცილით! კომედია იყო ნამდვილი!

ეს იყო დღე ჩემი როგორც დრამატურგის დაბადებისა. იმ დღიდან მაწვალებდა აზრი—დამეწერა კომედია, მაგრამ ვერ გბედავდი. ბოლოს, თბილისში რომ ჩამოვედი და სხვადასხვა კომედიები ვნახე, როგორც იქნა გავბედე. აი ისიც:

გამარჯვებულთა ღიმილი

(კომედია ოთხ მოქმედებად, რვა სურათად)

მოქმედი პირნი:

1. **პროფესორი**—ცოტა გამოშტერებული
2. **ჭიჭიკო**
3. **კოწო** } მოქეიფე ზარმაცი სტუდენტები
4. **პაჭიკო**
5. **მილიციელი**—ზრდილობიანი
6. **ლალი**—ქარაფშუტა, 20 წლის ქალიშვილი
7. **გერონტი**—ლალის ბიძა, ასე 40-50 წლის, სოფლიდან ჩამოსული დეგენერატი.
8. **სულიკიე**—მისი შვილი, უმაღლესში მოსაწყობი იდიოტი.
9. **არჩილ იმედაძე**—პროფსაბჭოს თავმჯდომარე, ფრიადოსანი, სანდომიანი, მეგობრული, თავმდაბალი.

მოქმედება I

(თბილისი. ლაღიძის წყლების წინ დგანან და იფურთხებიან: ჭიჭიკო, კოწო, პაჭიკო. გამოიევლის მილიციელი, ხელს აუღებს და მიმართავს ბიჭებს:)

მილიციელი—პატივცემულო მეგობრებო, ძალიან გთხოვთ აქ ნუ გაჩერდებით. რა ვქნა...

ბიჭები—მინამ ლამაზი ხარ, გაიარე!

მილიციელი—ბოდიში, ბიჭებო, ბოდიში! (გადის, ბიჭები მღერიან, ცეკვავენ, ფეხებს აბაკუნებენ და გადიან. აქ საჭიროა სიცილი დარბაზში).

მოქმედება II

(პიჟამოში გამოწყობილი პროფესორი ეძებს სათვალეს, რომელიც ცხვირზე უკეთია, რეკავს ტელეფონი).

— ალო! კი, კი, პროფესორის ბინაა.

— . . .

— სულ დამავიწყდა, გამოცდა რომ მაქვს, როგორ გამოვშტერდი! ახლავე ჩავიცვამ და წამოვალ... (პროფესორი ჭუდის ნაცვლად იხურავს ტაფას და უშარჟლოდ, ცეკვა-ცეკვით გადის ოთახიდან. აქ ხარხარია).

მთელი პიესის ციტირება შორს წაგვიყვანს. მოგიყვებით მოკლე შინაარსს: ბოლოს და ბოლოს სულიკიე უმაღლესში მოეწყობა, ლალი და ჭიჭიკო დიდი ეჭვიანობის, ცეკვებისა და სიმღერების შემდეგ შეერთდებიან. არჩილ იმედაძის საბოლოო სიტყვის შემდეგ, რომელიც ასე მთავრდება: «ჩვენ უთუოდ გავიმარჯვებთ, მეგობრებო», ჭიჭიკო და მისი ძმაკაცები ფიცს სდებენ, რონ გამოსწორდებიან. მერე ყველა ერთად მღერის, ცეკვავს და ხელს უქნევს მაყურებელს. მაყურებელთა ხარხარი. ფარდა.

აქ ჩაფიქრებული მაქვს საინტერესო მიზანსცენა. მეოთხე რიგში მჯდომი ჩემი ბიძაშვილი წამოხტება და იღრიალებს: ავტორა, ავტორა ნა სცენუ! ამას მოყვება კომპოზიტორის ბიძაშვილის ღრიალი. მე და კომპოზიტორი გამოვდივართ ხელიხელჩაკიდებული, მერე ვკოცნით ერთმანეთს, ამასობაში მსახიობები გამოათრევენ რეჟისორს და უკრავენ ტაშს. მეკარე გაფრთხილებულია—გასასვლელი კარი არ გააღოს. ნათესავები გვესვრიან ყვავილებს და ამშვიდებენ მაყურებლებს, რომლებიც გაიძახიან:

— რა გააჭირეთ საქმე, გააღეთ კარი და გაგვიშვით!

ბოლოს უნდა იყოს ბანკეტი და შეისვას ხელოვნების სადღეგრძელო.

— გაუმარჯოს ხელოვნებას!

ასეა, ჩემო მეგობრებო, როგორც ხედავთ, კომედიის დაწერა არცთუ ისე დიდი ამბავია, ზოგი რომ ბერავს. ბოლოს და ბოლოს რა არის კომედია?

სასაცილო მუსიკა, პლუს ძველი ანეგდოტებისაგან შეკერილი პიესა, პლუს სასაცილო ლექსები, გატანილი სამხატვრო საბჭოზე უდრის კომედიას. გათავდა და მორჩა. არც ისეა მართლა საქმე, გოგოლი და შჩედრინი რომ გამოგვეცხადოს მაინცდამაინც. აგერ ვართ ნიჭიერი ხალხი და ვწეროთ, რა გვენაღვლება!

ჯვეგე დუმბავა

ნახ. ჯ. ყაველაშვილისა



— რა მოიტანეს, თუ იცი?
— საჩივრის წიგნები.

ბულგარული იუმორი

კურტმა რომ გაიღვიძა, დედას ისევ ეძინა. ვიღაცა ძია მოვიდა და რაღაცა ქაღალდი მოიტანა. კურტმა წაიკითხა და შევარდა მამასთან, რომელიც სამზარეულოში ჭურჭელს რეცხავდა.

— აი, მამიკო, დედამ საუკეთესო დიასახლისობისათვის ქების სიგელი მიიღო.—ახარა მან.

სამი პატარა ბიჭი მიდგომოდა მაღაზიის კუთხეს და იმანჭებოდა.

— რას შვრებით?—ჰკითხა ერთმა გამვლელმა.

— სახის მანჭვა-გრეხაზე ვვარჯიშობთ, აგერ ბაყალს ღია ფანჯრიდან ვეჯღანებით და ვაშლს გვესვრის ხოლმეო,—აუხსნეს ბავშვებმა.

მაღაზიის გამგე ფაცაფუცით მიიჭრა გამყიდველთან და გარეთ დაკიდებულ საწვიმარ ლაბადებზე მიუთითა: წვიმას აპირებს და ახლავე შემოიტანეო.

ფილმის გადაღებაზე ერთმა მსახიობმა უფსკრულის პირას მაღლა ასწია მეორე.

— მთელი ძალით გადაუშვებ დაბლა და კადრიც ბუნებრივი გამოვა,—უთხრეს მას.

— ღვთის გულისათვის, ხელი არ გამიშვა, თორემ სული გამძვრება!—წამოიძახა ზეაწეულმა სასოწარკვეთით.

— რა უშავს, შემდეგ კადრში ხომ აღარ გამოდიხარ.—დაამშვიდეს იგი.

თარგმნა **შ. ამირანაშვილმა**

— ვექილებს ნუ მიხსენებთ!—წამოიძახა შავებში ჩაცმულმა ქვრივმა.—ჩემი ქმრის მიერ დატოვებული ქონების გამო ისე გამაწამეს, რომ რამდენიმეჯერ ვინატრე, ნეტავი არ მომკვდარიყო-მეთქი.

ფრინველების გამოფენაზე ბატონ იობსის უთხრეს—ეს ბატის ჭუკები სულ რაღაც ორი საათია, რაც ინკუბატორმა გამოჩეკაო.

— დალახვროს ეშმაკმა!—წამოიძახა იობსმა,—კარგად თუ არ დააკვირდი, ნამდვილი ჭუკები გეგონებაო.

თარგმნა **თ. ჩიქოვანმა**

რ ე დ ა ქ ც ი ი ს ა გ ა ნ

ჟურნალ „ნიანგის“ რედაქცია აცხადებს წარმოება-დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა საყურადღებოდ, რომ **ალექსანდრე (საშა) ელიზბარის-ძე ჯორჯიკია არ მუშაობს ჟურნალ „ნიანგის“ რედაქციაში და არავითარი საერთო არა აქვს რედაქციასთან**

მოსაწყობი კაცი

ჩემმა მეგობარმა გამომიგზავნა ერთი ჩვენი ახალგაზრდა თანამემამულის ორი განცხადება.

ეტყობა, ამ ჭაბუკს ბევრი ნავარდის შემდეგ უეცრად გადაუწყვეტია უმაღლეს სასწავლებელში შესვლა. აუღია ქაღალდი და საკუთარი ხელით დაუწერია:

«სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს.

ჩემი უსაზღვრო სურვილია შევიდე თქვენდამი რწმუნებული უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილებაზე, რათა დავეუფლო რუსთაველისა და ბარათაშვილის ენას, გავხდე დოცენტი, ვასწავლო დედაქალაქში ჩამოსულ გაუნათლებელ პროვინციელებს ქართული ენა.

მე აკვნიდანვე ქართული ენის სიყვარულს მინერგავდა დედა, რომელიც თავისი დროისათვის ნაკითხი და განათლებული ქალი იყო. მამა კი ხშირად მეტყოდა: ქართულ უნივერსიტეტში უნდა შეგიყვანოო, შვილო!

ვიზრდებოდი საბავშვო ბაღში და საბჭოთა სკოლაში. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ, თუ ჩემში დარჩა რაიმე კარგი და კეთილი, სულ იმის წყალობით, რომ ქალაქის სკოლაში პიონერებს შორის ვიზრდებოდი.

ამასთან განზრახული მაქვს გავხდე პოეტიც.

ამჟამად ვმუშაობ ლექსების ციკლზე, რომელიც მიძღვნილია დიად სამშობლოსადმი. რამდენიმე ლექსი რედაქციაშიც მივიტანე. ძალიან მოეწონათ და კინაღამ დამიბეჭდეს.

სიტყვას გაძლევთ, რომ ჩემს ცოდნას, მიღებულს უნივერსიტეტის ანუ ცოდნის ტაძრის თეთრ თაღებს ქვეშ, მთლიანად მოვახმარ სამშობლოს ღირსეული შვილების აღზრდის ჭეშმარიტად დიადსა და კეთილშობილურ საქმეს. ამიტომ განმეორებით გთხოვთ მიმიღოთ გამოცდების გარეშე. არჩილ განურჩევლიძე».

ახლა მოუსმინეთ მეორე განცხადებას:

«თბილისის ვეტერინალური ინსტიტუტის დირექტორს.

ჩემი უსაზღვრო სურვილია შევიდე თქვენდამი დაქვემდებარებული ინსტიტუტის რქოსანთა ფაკულტეტზე. ჩემი ოცნებაა გავხდე ვეტექიმი, წავიდე სოფელში და ჩავდგე საკოლმეურნეო მეცხოველეობის ჯანმრთელობის სადარაჯოზე, რათა განვკურნო: ძროხები, რომლებიც ჩვენს მშრომელებს მაღალხარისხოვანი რძით ამარაგებენ; ცხენები, რომლებიც ხალხის ბარაქას საკუთარი ზურგით ეზიდებიან; ღორები, რომელთა ხორცი მდიდარია ცხიმებით.

საქონლის სიყვარულს აკვნიდანვე მინერგავდა მამა, რომელიც გამოცდილი მესაქონლე იყო: თუ ცხვარს მუცელი გამოებერებოდა, საპნიანი წყლით არჩენდა. ხშირად მეტყოდა: ვეტერინალურზე უნდა მოგაწყოო, შვილო! ამის წყალობით მე უკვე მესმის პირუტყვთა ენა, მათი ტკივილი და სიხარული. დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ, თუ ჩემში დარჩა რაიმე კარგი და კეთილი, უფრო იმის წყალობით, რომ სოფელში ვიზრდებოდი ხბორებსა და ბატკნებს შორის, დავხტოდი ორღობეებში.

ამასთან განზრახული მაქვს გავხდე მეცნიერი მუშაკიც.

ამჟამად ვმუშაობ ბრუცელოზზე, რომელიც შინაურ ცხოველთა ქრონიკული გადამდები სნეულებაა და ადამიანებსაც ემართებათ აუდუღებელი რძის ნაწარმისაგან. ლექსიკონში უკვე წავიკითხე ქოთაოს განმარტებაც. ცოფის საწინააღმდეგო აცრა პასტერმა გამოიგონა. პასტერი ფრანგი იყო.

გთხოვთ აუცილებლად მიმიღოთ გამოცდების გარეშე.

არჩილ განურჩევლიძე».

მეგობარი მწერდა, მესამე განცხადებით თეატრალურ ინსტიტუტში მიღებას ითხოვდა, მეოთხით—გეოლოგიურ ფაკულტეტზეო.

ოთხივე განცხადება ახალგაზრდას საკუთარი ხელით ჩაუდია კონვერტებში, წაუწერია მისამართები და ფოსტაში მიუტანია.

რამდენიმე დღის შემდეგ ოთხივე უმაღლესი სასწავლებლიდან მეტად არასანუგეშო პასუხი მიუღია. ყველაფერს ბედი უნდა: საცოდავს აჩქარებაში კონვერტები შეშლოდა.

როგორც ხედავთ, უბრალო მისამართმა შეცვალა ადამიანის ბედი.

აკაკი გელოვანი

რედაქტორი—ელგუჯა მაღრაძე.
სარედაქციო კოლეგია: აკ. ბელიაშვილი, დ. გაბაშვილი. ს. კლდიაშვილი, გ. ჯაში, ს. ფაშალიშვილი, ო. ჭელიძე.
საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა
თბილისი. სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нианги“.
რედაქციის მისამართი: ლენინის ქ. № 69. ტელეფონები: რედაქტორის—3-76-69, საერთო განყოფილების—2-13-29.
გამომც. № 10. ხელმოწ. დასაბ. 26/V-1958 წ. ქაღ. ზომა 70×108 1/8. 0.5 ნაბ. ფურც. 1,37. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. 14.

237
58

— წარმოგიდგენია, თენგიზ, რაიონში გამანაწილეს სამუშაოდ.

— რა გენაღვლება მერე, წადი და, შენი ცოდნის ამბავი რომ ვიცი, იმ დღესვე გამოგაბრუნებენ უკან.